



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№914 2016 წლის 25 მაისი ქ. თბილისი

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №699 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №699 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების ნაწილობრივ დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 1 610 000 (ერთი მილიონ ექვსას ათი ათასი) ლარი, მათ შორის:



საქართველოს კულტურისა  
და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
ტელ.: 2 98 74 30



070113582031616

შემოსვლის N 10875  
30 05 2016  
საქართველოს კულტურისა და  
ძეგლთა დაცვის სამინისტრო

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას - 440 000 (ოთხას ორმოცი ათასი) ლარი;

ბ) სსიპ - საზოგადოებრივ მაუწყებელს - 390 000 (სამას ოთხმოცდაათი ათასი) ლარი;


გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს - 300 000 (სამასი ათასი) ლარი;

დ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს - 300 000 (სამასი ათასი) ლარი;

ე) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას - 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

ვ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს - 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი